ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზია

ბიოლოგიური პესტიციდი – მცენარეული ექსტრაქტი, აქტიური შტამი ან მიკრობული სინთეზის პროდუქცია მიკრობიოლოგიური პრეპარატული ფორმით, რომელიც სპეციფიკურია მავნე ორგანიზმებისათვის და უარყოფითად არ მოქმედებს სასარგებლო ფაუნასა და ფლორაზე, უვნებელია ადამიანისა და სხვა თბილსისხლიანებისათვის.

ბიოლოგიური პესტიციდების წარმოება – აქტიური შტამის მიღება (გამრავლება) ან მიკრობული სინთეზით პროდუქციის მიღება. მიკრობიოლოგიური საშუალების პრეპარატული ფორმის დამზადება და დაფასოება.

ლიცენზიის მაძიებელმა ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზიის მისაღებად სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოს“ უნდა წარუდგინოს:

- ✓ წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი, განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს, მოთხოვნას, განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას, განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;
- ✓ იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ საქმიანობის ლიცენზიის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი, და თანდართული საბუთების ნუსხას;
- ✓ განცხადებას უნდა ერთვოდეს კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები;
- ✓ განცხადებას ასევე უნდა ერთოდეს სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ლიცენზიის მაძიებელმა ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის გამცემს ზემოაღნიშნულთან ერთად დამატებით უნდა წარუდგინოს:

ა) მონაცემები საწარმოს ადგილმდებარეობის შესახებ;
ბ) მონაცემები საქმიანობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო თარიღის შესახებ;
გ) საქმიანობისათვის საჭირო ნაგებობის სქემა;
დ) ტექნოლოგიური პროცესის მოკლე აღწერა (საწარმოს რეგლამენტი);
ე) ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მისაღები პროდუქციის ჩამონათვალი;
ვ) იმ ღონისძიებათა დეტალური აღწერა, რომლებიც დაგეგმილია გარემოსა და სოციალურ ფაქტორებზე ზემოქმედების შესამცირებლად;
ზ) მოსალოდნელი წარმოების მოცულობა და სახეობა;
თ) საწარმოო პროცესის შედეგად მიღებული ნარჩენების სახეები, რაოდენობა, მათი განთავსების შესაძლო ადგილები, ნარჩენების შესამცირებლად და გადასამუშავებლად დაგეგმილი ღონისძიებები;
ი) ტექნოგენური ავარიების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილი უსაფრთხოების ზომები;

კ) ბიოლოგიური პესტიციდის სარეგისტრაციო მოწმობა.

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“ სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზიის გაცემის პროცესში ჩააბამს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზიისთვის დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებელი განსაზღვრულია 280 ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები

- ✓ „საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=111

- ✓ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86

- ✓ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 29 აპრილის N89 დადგენილება „ბიოლოგიური პესტიციდების წარმოების ლიცენზიის გაცემის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/9904?publication=2